კვირა, 1918 წ. აგვისტოს 4 № 140

წელიწადი მეორე

კვირა, 1918 წ. აგვისტოს 4 № 140

ფ ა ს ი 30 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშ[ნუ]ლი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

კვირას, აგვისტოს 4, დილის 10 ს., ქალაქის თვითმართველობაში დანიშნულია

## ს ა ე რ თ ო კ რ ე ბ ა

მცხოვრებთა საუბნო-სასანიტარო სამზრუნველოების წევრთა არჩევის შესახებ.

1—1

გაზ. „სოც. დემოკრატში“ მოთავსებული ცნობა იმის შესახებ ვითომც საღორიის ტყეში სჭრიან ტყეს, კანს აძრობენ და ჰყიდიან სოფლელები და სხვა კერძო პირები, სიმართლეს მოკლებულია. ქალაქის გამგეობამ საბჭოს დადგენილებით

## გ ა ს ც ა მ ო ს ა ჭ რ ე ლ ა თ

20 დესიატინა ტყე და მასთან კანიც მიაქვს ხელშეკრულების ძალით მომჭრელებს

1—1

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

### საქონლის გამცვლელ კომიტეტისა

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებული საქონლის გამცვლელი კომიტეტი სთხოვს ყოველ გვარ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და პირებს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ ზემოხსენებულ კომიტეტს (თფილისი ჭავჭავაძის ქუჩა № 2) სია (რაოდენობა და ხარისხი) იმ საქონელთა რომელიც მათ სურთ შეიძინონ გერმანიიდან ვინაიდან კომიტეტი ამ მოკლე ხანში გზავნის გერმანიაში კომისიას საქონლის ყიდვის და გამოტანის მოსაწყობათ. ამ კომისიის გარეშე— საქონლის შემოტანა გაძნელებული იქნება.

კომიტეტის თავმჯდომარე, მინისტრის ამხანაგი გ. ნიკოლაძე.

მდივანი ი. ჰიჰინაძე.

3—3

ქ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭო და გამგეობა ამით აცხადებს ამავე საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას 25 აგვისტოს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია

## არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

განსახილველი არის შემდეგი საკითხები:

1. საბჭოს და გამგეობის მოსამსახურეთა ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და შტატის შემოკლება.
2. საკითხი ამავე საზოგადოების დაბევვრისა და სხვა.

3—2

## კბილის ექიმები

მ. ი. ახვლედიანი და ო. დ. პროშლიაკოვა

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 .. მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

ე ქ ი მ ი

## ზ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

## შეცდომა უნდა გასწორდეს.

კაცობრიობის მოწინავე ნაწილი დღეს დარწმუნებულია, რომ ცხოვრებაში საუკეთესო მასწავლებელი ისტორიაა. თუ აზრიანათ ჩავიხედავთ ისტორიაში, ბევრ საგულისხმო რამეს წავიკითხავთ იმის ფურცლებზე. ისტორია ცხად მაგალითებს გვიჩვენებს, რომ ერის ცხოვრებაში ხანდახან დგება ისეთი ხანა, როდესაც ერის არსებობა ძაფზე ჰკიდია; ერის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი მომენტი, როდესაც ან სახელმწიფოს გარეშე ამოვარდნილი ქარტეხილი გადმოივლის და გადალახავს ჩვეულებრივ კალაპოტს, ან შინაური მდგომარეობის სიმწვავე შეცვლის ცხოვრების მიმდინარეობას და ერს ისეთი განსაცდელის წინაშე დააყენებს, რომ მან აღარ იცის მომავალში იარსებებს თუ არა. ასეთი განსაცდელის წუთში ერი იცვლის სახეს, ხან სასიცოცხლო ენერგიას იჩენს და ბრძოლაში საუცხოვო მაგალითებს წარმოადგენს, ხან ერს სიღიმლამე ეკარგება, თავზრუ ესხმის და თავის მომავლის სამუდამოთ ღუპავს. ზოგიერთი ერი გადარჩა ისტორიულ განსაცდელს და არა ერთხელ და ორჯელ გაიარა ეს პოლიტიკური სენი, ზოგი კი ასეთ განსაცდელში საუკუნოთ დაიღუპა. ქართველი ერის ისტორიაშიც იყო ასეთი საგულისხმო წუთები და ქართველმა ერმაც აღნიშნა თავისი სახე ისტორიულ წარსულში.

დღეს საქართველო კვლავ განსაცდელის წინაშეა!

დღეს ქართველი ერის ცხოვრებაში მართლაც მწვავე მომენტია!

ქართველი ერის ბედის ვარსკვლავი პოლიტიკურ ჰორიზონტზეა სხვიმოსილათ გადმომდგარი და საგულისხმო რამეს გვიკარნახებს.

ბედის ვარსკვლავი ხმა მაღლა ჩამოგვძახის: ან აღსდექით, ან მოისპეთ.

მართლაც ქართველი ერის აწმყო და მომავალი დღეს უნდა გადაწყდეს. დღევანდელი განსაცდელიდან ან უვნებლათ უნდა გამოვიდეთ, ან შიგ უნდა ჩავიხრჩოთ და სხვა ერის საფეხურათ შევიქნეთ.

მივიხედ მოვიხედოთ გარშემო და დავრწმუნდებით, რომ სწორეთ განსაცდელში ვართ.

საგარეო პოლიტიკა ჩვენი ძლიერ გართულდა. სამხედრო ძალას მოკლებული და საკუთარი დიპლომატიის უიმედო სხვის მფარველობას ვემყარებით—ვემყარებით ისეთ დროს, როცა შურითა და მტრობით მთელი ქვეყანა აივსო; ვემყარებით მაშინ, როდესაც პოლიტიკაში **სიყალბე** მეფობს და დიპლომატია **ღალატსა და თვალთმაქცობაზეა** აგებული; ვემყარებით მაშინ, როდესაც **სინდისი** და **ნამუსი** ეს უწმინდესი საუნჯე. ადამიანისა—საზოგადოებრივ კავშირს ვერ ამტკიცებს და ვერ აგვირგვინებს; ვემყარებით მაშინ როდესაც **ზნეობა კუჭშია** და **პატიოსნება ჯიბეში**: რა გარანტია გვაქვს, რომ ასეთ დროს საგარეო პოლიტიკა ჩვენდა სასარგებლო მიმდინარეობას მიიღებს?

საკუთარი ძალებიდან არავითარი.

თუ საგარეო პოლიტიკა გართულებულია არც სამინაო პოლიტიკაა მარტივი და გამორკვეული. შინაური მდგომარეობაც მეტათ აიწეწდაიწეწა: სოფელი ქალაქს ჩამოშორდა, რევოლუციას სახელი გაუტყდა, ხალხი გონებით დაავადმყოფდა, ზნეობით ძლიერ ჩამოქვეითდა. სოციალიზმის დამყარების მოიმედე დემაგოგი ხალხისაგან სალამსაც ვეღარ ღირსა. ხალხისაგან ამორჩეული პირები ხალხს ვეღარაფერს უბედვენ. უბრალო, მსუბუქი სასჯელის მოწინააღმდეგე სიკვდილით დასჯას აკანონებს. ეროვნული შეგნება ხალხში ფეხს ვერ იკიდებს. ხალხი დაიბნა, თვითონ ვეღარას იგებს და ინტელიგენციის აღარაფერი სჯერა; მეტსაც ვხედავთ სწავლა განათლებას ფასი დაეკარგა და ხალხში უცნაური ხმები ისმის. ეს ხმები უკმაყოფილების ნიადაგზე აღმოცენდა და მოუმზადებელი დემაგოგების წყალობით გაჩენილი ინტელიგენციის მისამართით ვრცელდება. გარემოება მეტათ საგულისხმოა. სენი მეტათ სახიფათოა და უებარი წამალი ძნელი გამოსაძებნია....

ასეთ პირობებში ახალ სახელმწიფოს ვაშენებთ, ასეთ პირობებში უნდა გამოვაკობიტოთ ახალი რესპუბლიკის კონსტიტუცია. ასეთ პირობებში უნდა აღვადგინოთ ეროვნული სიდიადე, დავიცვათ სრული თავისუფლება-დამოუკიდებლობა და დავამყაროთ სრულიად ახალი წესწყობილება. სამუშევარი მეტათ დიდია. თანაც სასიამოვნო და სახიფათო, მაგრამ გარემოება მეტათ მძიმე და არა საიმედო.

ერი უნდა გამოფხიზლდეს, ერი უნდა აღსდგეს, ერმა უნდა მოიპოოს ძალა და გამოიჩინოს შემოქმედება, მაგრამ რანაირათ? სად არის ერი და მისი ნაყოფიერი მუშაობა? ერი დაქსასულია, ერი გაბნეულია და გზა დაკარგული. ხალხი ერთი დროშის ქვეშ არა სდგას. ხალხს ერთი იდეა არ აერთებს და არ ასულდგმულებს; ხალხს ერთი გრძნობა არ ასაზრდოებს, ხალხს ერთი ენა არა აქვს. დღეს ხალხი მთლიანი ერთეული აღარ არის. დღეს ერის სახე შეცვლილია. სამწუხაროთ ასეთ პირობებში, ერის ასეთი სულიერი განწყობილების დროს, სახელმწიფოს მოწყობა ახალ საიმედო გონიერ ნიადაგზე მეტათ ძნელია, ძნელია იმდენათ, რომ ამის ასრულება სასწაულათ ჩაითვლება.

რათ დაგვემართა ეს? რას მოვესწარით ამას? საქართველოს ბედნიერების საათმა ჩამოკრა და ჩვენს ოჯახში ასეთი უბედურობა დატრიალდა?

დიაღ, არ ველოდით, მაგრამ ასე მოხდა. ჩვენ **რაც გვეგონა**, ის **არ ახდა** და ჩვენ რაც **არ გვეგონა ის მოხდა**.

ამხანაგები გვარწმუნებდენ ხალხს ვიცნობთო, ხალხი ჩვენ გვიჯერის, ჩვენი მიმდევარიაო, მაგრამ ეს არ გამართლდა. ხალხის გულის სიღრმეში ადვილათ ვერავინ ჩასწვდება, ხალხის შეხედულება ადვილათ არ ირკვევა, ხალხის გემოვნება უცებ არ გაიგება. ხალხის ხმა **ყველას ესურება**, მაგრამ **ყველას არ ესმის**. ხალხის ენას თავისებური გრამატიკა აქვს და გამოუმუშავებელი მოქადაგისათვის ის ადვილი გასაგები არ არის.

სოციალისტების დაუთესილმა მოძღვრებამ ცუდი ნაყოფი გამოიღო. მათი იმედები გაცრუვდა და დღეს ისინი ისეთი სინამდვილის წინაშე დგანან, რომ სოციალიზმის ნასახი ცხოვრებაში კი არა თეორიაშიც ვეღარ ნახონ. შეცდომა დიდი

# დღეს.

**წერილები.**

ტრიფონ ჯაფარიძე—შეცდომა უნდა გასწორდეს.
ქართული ინტელიგენცია და ნ. ჟორჟიკია.
ალ. თორაძე—დასელები და საქართველოს ავტონომია.
პრესის მაგიერ.

— —

ირაკლი.—საჩხერის ამბები.
ი. ჯიხაიშელი—წერილი საჩხერიდან.

— —

**ცნობები.**

ბაქოს მდგომარეობა კრიტიკულია. ძალაუფლება ფლოტლიის ხელშია. უკანასკნელი ცნობების თანახმად ბაქო ოსმალთა ჯარმა აიღო. კერენსკი ლონდონში. კიევში მოკლეს გენერალი ეიხგორნი. როგორც ხმები დადის შვეიცარიაში მოწვეულ იქნება საერთაშორისო საზავო მოლაპარაკება.

---

აქვსთ და სინანულიც დიდი უმართებსთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ გამოსწორდება. რაც მალე შეიგნებენ თავის შეცდომას და რაც უფრო მალე დაადგებიან სალ, **პირდაპირ** და ისტორიით გამოცდილი საიმედო **ეროვნულ** პოლიტიკას მით უფრო მალე დასრულდება განსაცდელი, ხალხიც გონს მოვა და მტერიც ანგარიშს გაუწევს. შეცდომით გამოცემულმა დეკრეტებმა ცხოვრება აგვირია და ხალხი დაგვაშინა. სამი მეოთხედი დღევანდელი ბოროტებისა და უბედურებისა მარტო მიწის დეკრეტმა დაგვატეხა და აი რატომ...

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## ქართველი ინტელიგენცია და ნიკო ჟორჟიკია.

კარგი ხანია საქართველოში ქართველ ინტელიგენტის ტიპი გაჰქრა. ქართული აზრი ისტორიის უკუღმართობაში დაიკარგა, ქართული ნებისყოფა დაუძლურდა და **ქართველის** სული საქართველოს ისტორიის, კულტურის და ტემპერამენტის გარეშე დარჩა სრულებით მოულოდნელად.

ჩვენ ვეძებდით განათლებას, ჩვენ ველოდით განახლებას და ამიტომაც ვილოლიავეთ ევროპაში, მივეკედლეთ რუსეთს: გამაგრება და მოღონიერება იყო საჭირო როგორც ეროვნულ კულტურულად, ისე სულიერად, როგორც ეკონომიურად, ისე მორალურად.

მაგრამ სამწუხაროდ მოხდა ის, რასაც სრულებით არ მოველოდით: უნდა მომხდარიყო არა საქართველოს **ევროპიზაცია**, არამედ ევროპის კულტურის და ცივილიზაციის **გაქართულება**. თქმა არ უნდა, უნდა მომხდარიყო არა საქართველოს განადგურება, არამედ გაძლიერება ევროპის შემოქმედების შეგრძნობით და შეთვისებით: **ქართ ლი** ყველაფერი უნდა დარჩენილიყო და ევროპიული ყველაფერი უნდა ყოფილიყო **გარდაქმნილი** ქართულად.

მოხდა სულ სხვა: ქართული შემოქმედება დაიღუპა, ქართული აზრი ევროპიულად „გადაკეთდა“ და ამ „გადაკეთებაში“ საქართველომ თავის სახე და ინდივიდუალობა დაჰკარგა. ქართველ ინტელიგენტი გაიტაცა ევროპის კულტურულ მრავალფეროვნებამ და ქართველს თავის თავი დაავიწყდა.

დღეს საქართველოში ქართველ ინტელიგენციის სამი მეოთხედი მაინც ლოგიურად საქართველოს გარეშე სდგას და არაფერი საერთო სამშობლოს ისტორიასთან არა აქვს. ტიპიურ **ქართველი** ინტელიგენტი ევროპიულად მომზადებული საქართველოში შეგხვდებათ, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, ძლიერ ცოტა. განსვენებულ არ. ჟორჟაძე ქართველ ინტელიგენციის საყურადღებო წარმომადგენელია, მასთან ძლიერია როგორც შემოქმედი პიროვნება, როგორც კრიტიკოსი და მწერალი. საყურადღებოა აგრეთვე როგორც **ქართველ** ინტელიგენციის ტიპიურ წარმომადგენელი ნიკო ნიკოლაძე: ამ პიროვნებაში **შეერთებულია** ჩვენი ისტორიული მიმდინარეობის ორმაგობა: **ქართველობა** და **ევროპიული** სახე. საზოგადოთ ჩვენი ინტელიგენციას აქვს ისტორიულად გამორკვეული სახე—სახე სოციოლოგიურად და ფსიხოლოგიურად დაკრეცილი მაგრამ მაინც საკმაოდ გამორკვეული და **ისტორიულად** მთლიანი.

საქართველოს ინტელიგენციის პატარა ოჯახმა ამ რამოდენიმე დღის წინად დაჰკარგა ერთი საყურადღებო პიროვნება. ამ პიროვნებას შეეძლო თავის წვლილი შეეტანა საქართველოს ეროვნულ შემოქმედებაში; და ის, რაც მან დაგვიტოვა დასტამბული და დაწერილი სრული უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ საქართველომ მასთან ერთად დაჰკარგა დიდი ნიჭი, დიდი ორიგინალობა.

ავადმყოფი იყო მაგრამ სულით ძლიერი იყო **ნიკო ჟორჟიკია**: სულ ახალგაზრდა, თითქმის ჰორკი უკვე მეცნიერების და ძიების გზას დაადგა ვინ იცის რამდენ საშინელებას განიცდიდა იგი იმ დროს, როდესაც საშინელი სენი ხელს უშლიდა მას შრომის და სიყვარულის სულიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. დიდათ საყურადღებოა დაუმთქვრელი ნაწერები: ჯერ კიდევ თუთხმეტი წლის ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი არკვევს ფილოსოფიურ—სოციოლოგიურ საკითხს: რა დამოკიდებულებაა პიროვნებისა და ბრბოს შორის. ამ საკითხებში იგი იძლევა ორიგინალურ და საყურადღებო პასუხს. თითქმის ყოველი მისი ნაწარმოებს ეტყობა დიდი ნიჭი და ძლიერი ლოგიკა, ცოდნა და ღრმა აზროვნება.

დღეს, როდესაც საქართველოს ინტელიგენციის [illegible] და [illegible] დღეს, როდესაც [illegible] ვინაობას, ყოვლად შეუძლებელია და აუტანელი ქართულ ინტელიგენტის მდგომარეობა:

თუ სოციალ დემოკრატი და მენშევიკი ხარ, რაც უნდა პატარა ჭკუის კაცი იყო, მაინც გენიოსი ხარ და პრეზიდენტობა თუ არა მინისტრობა მაინც მოგელის.

მაგრამ, თუ ბედმა სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრობა არ გარგუნა, ვინც უნდა იყო სულ ერთია—მინისტრობა, უმაღლესი მორალურ და ეკონომიური ჯილდო კი არა სოფლის კომისრობასაც ვერ ეღირსები.

ტკბილ და მეგობრულ სიტყვასაც კაცი არ გეტყვის: დაფასებას და მორალურ და ეკონომიური ჯილდოს თავი დაანებოთ. ასეთ საშინელ დროს საქართველოს დაეკარგა ნიკო ჟორჟიკია: საჭიროა ბოლო მოეღოს ჩვენში ჯგუფური და პარტიული ბარბაროსობას, საჭიროა ნიჭის და ორიგინალობის მიუდგომელი დაფასება, საჭიროა პარტიული და ჯგუფური კარჩაკეტილობის უარყოფა. ჩვენ იმედი გვაქვს—მოვა დრო და ქართველი ინტელიგენტი დარწმუნდება პარტიული და ჯგუფური სულიერი განწყობილება რყვნის ეროვნულ კულტურას, აზრს და შემოქმედებას.

დარწმუნებული ვართ, შორს არ არის ეს დრო: პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები დაღნებიან საქართველოს ისტორიულ მღელვარებაში, ქართველი ინტელიგენტი და მეცნიერი მაშინ დაფასდება და მაშინ ქართველი ინტელიგენცია მოიგონებს პატივისცემით ნიკო ჟორჟიკიასაც.

ყოველივე სიტყვა ქართველ ინტელიგენტის მთლიან საქართველოს იდიას ემსახურება და განახლებული საქართველო

---

## დასელები და საქართველოს ავტონომია.

**ისტორიული ანალიზი.**

ქართველ სოციალ დემოკრატების აზროვნებისა და პრაკტიკული მოქმედების სპეციფიურ თვისებას შეადგენდა საკუთარ ეროვნულ პიროვნების უარყოფა, ქართულ თვითმართველობის წინააღმდეგ მედგარი და შეუპოვარი ბრძოლა მის მომხრე და ენერგიულად მცველ სოციალისტ ფედერალისტურ პარტიასთან: თავდაპირველად ეს ბრძოლა წმინდა თეორეტიული ხასიათის იყო. ორივე მხარე ცდილობდა გამოენახა თავიანთ დებულებათა დასაყრდნობათ რაიმე მეცნიერული საფუძველი; გაიმართა დაუსრულებელი და თავმომაბეზრებელი წერა და კამათი ეროვნების დამახასიათებელ, ნიშანდობლივ თვისებაზე, მისი წარმოშობის, განვითარებისა და მომავალ ბედიღბლის თაობაზე. მთელი ამ საგულისხმიერო, პრინციპიალურ დავა-კამათის მიზეზი იყო ქართული ეროვნული ცხოვრების მოწყობა—მოწესრიგების საკითხი. ჩვენ აქ არ შევუდგებით თითოეულ ამ მოკამათე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საბუთებისა და არგუმენტაციის ღირსება ნაკლოვანების დაწვრილებით გათვალისწინებას.

ვისაც ამისი სურვილი მოუვა, შეუძლია მიმართოს ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტის, განსვენებული არჩილ ჟორჟაძის, საფუძვლიან წერილებს, რომელშიაც არაჩვეულებრივი მიუდგომლობით არის აღბეჭდილი მოპირდაპირე მიმართულებათა შორის ატეხილი დავის ისტორია, მათ მიერ წამოყენებული არგუმენტები და გამოთქმული მოსაზრებანი.

ჩვენ აქ მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა გამოაჩინეს საარაკო მხნეობა და იშვიათი სიჯიუტე და სიმაგრე ქართული ეროვნების გაბიაბურების საქმეში მის მრავალ საუკუნიან კულტურულ ისტორიულ ცხოვრების უარყოფით და საპილის გატეხით და მომავალ ცხოვრების ეროვნულ ელფერს მოკლებულს პერსპექტივის დასახვით.

რამ აიძულა ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი ერის შვილნი ასე შეუწყნარებლად და უდიერად მოჰქცეოდენ თავის მშობელ ქვეყანას, უწყალო ბედის უკუღმა ტრიალის გამო ისედაც დაბეჩავებულს და მიწასთან გასწორებულს?

რამ აღებია ქართველ მარქსისტებს ხმალი ხელში თვის მშობელი ერის გულის გასაგმირავად მომართული? რატომ უღალატეს მათ ქართველი ერის მოჭირნახულე დიდებულ მამულიშვილთა საშვილო ანდერძს—მამულის დაცვისათვის და ამაღლებისათვის თავგანწირული, შეუპოვარი ბრძოლა მტერთან.

ნუ თუ იმდენად გამოცვლილა და გადასხვაფერებულა ქვეყნიერება, რომ ის, რაც წინად ყველასთვის სათაყვანებელი იყო, ეხლა საგინებელი, სათრევი და საქილავი გამხდარა?

ეგებ დღეს, მართლაც, აღარავის აკმაყოფილებს „გაცვეთილი პატრიოტიზმი“, „სამშობლო“ და რეაქციონერობას და ჩამორჩენილობას ნიშნავდეს მისი დაცვა-მოსარჩლეობა? მაგრამ მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენზე უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ქვეყნის შვილებს უმწვერვალს ხარისხამდე აქვთ განვითარებული მამულის უანგარო სიყვარულით გამოწვეული წმინდა და კეთილშობილური გრძნობა და სასახელოთ მიაჩნიათ მისთვის ბრძოლა და თავისდადება.

რატომ, რატომ მოხდა, დაჟინებით გვეკითხება დღევანდელი, ეროვნულად გათვითცნობიერებელი, ქართველის შეგნება, რომ ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის პირველი გაბედული გამოსვლა საპრაკტიკო მოქმედების ფრონზე ეროვნული იდეალის უარყოფით დაიწყო? ეს კითხვა არც ჩვენი ეროვნების უნიჭიერეს და უერთგულეს მოსარჩლეს არჩილ ჟორჟაძეს აძლევდა მოსვენებას. „ჩვენს წინაშე ამბობს არჩილი, მუდამ ჟამს აუხსნელი იქნება ის საიდუმლოებით მოცული გარემოება, რომ ეროვნულად დევნილი ერი, როგორიცაა ქართველი ერი, თითქმის თავსაც არ იცხელებს და მის შეგნებას არ ეკარება აზრი ეროვნულ უფლებათა დაცვისა“.

როგორც არა ერთხელ აღვინიშნავს, ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი მეტად გაიტაცა დასავლეთ ევროპის ნიადაგზე აღმოცენებულმა სხვადასხვა სოციალისტურმა თეორიებმა და შეუდგა მის გულმოდგინედ შესწავლას და გადმოწერა-გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში.

ყველასაგან ცნობილია, რომ სოციალიზმი, პირველად ყოვლისა, მაშვრალთა თეორია არის, მისი უპირველესი მიზანია საზოგადოების ჩაგრული ნაწილის განთავისუფლება ეკონომიური მონობის მძიმე უღელისაგან. იგი გვასწავლის, რომ კაპიტალიზმის უმეტესობა, მშრომელი ხალხი დიდ ნივთიერ და ზნეობრივ გაჭირვებასა და დამცირებას განიცდის ეკონომიურ და პოლიტიკურ პრემიატივებით აღჭურვილ კლასთა, ან წოდებათა მხრივ.

ამ უსამართლო წესწყობილების გაუქმება და მის ნაცვლად რიგიანი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობა აუცილებელ საქმეს წარმოადგენს; ხოლო ამისათვის საჭიროა მედგარი და თავგამოდებული ბრძოლა არსებულ სოციალურ წყობილებით დაინტერესებულ მშრომელ ხალხის მიერ ბურჟუა-კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ და ამიტომ იგი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს შეერთდენ დღევანდელ საზოგადოებრივი ურთიერთობის დასანგრევად და სოციალიზმის დასამყარებლად.

ამნაირია, მოკლედ, სოციალისტური დოკტრინის შინაარსი მარქსის და ენგელსის მიერ შედგენილ, სახელ განთქმულ კომინისტურ პარტიის მანიფესტში პირველად მკაფიოთა და ნათლ თაა გამოსახული:

როგორც ნათქვამიდან სჩანს, სოციალიზმის მთელი ყურადღება მარტოდენ სოციალურ კითხვის გადაჭრისაკენ არის მიქცეული. მისი თავი და თავი საზრუნავი საგანი, ნივთიერ შევიწროება-გაჭირვებაში მყოფ საბრალო ხალხის ეკონომიურ—სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ყოფილა.

ჩვენი მარქსისტებიც მარტოოდენ ამ სოციალ-ეკონომიური საკითხებით დაინტერესდნენ და მიზნად მუშათა კლასის, პროლეტარიატის, ინტერესების დაცვა დაისახეს.

ამიერიდან ყოველ მათგანს პირზე მხოლოდ სიტყვა პროლეტარიატი აკერია; ყველას იგი ახსოვს, ყველა იმაზე სწერს, მსჯელობს და ლაპარაკობს, მისი მოსარჩლეობა მთელი საზოგადოებისა და კაცობრიობის მოსარჩლეობად მიაჩნიათ.
ვინც მათ ამნაირ შეხედულებას არ იზიარებს, ხალხის მტრად და კაცობრიობის ორგულად არის აღსარებული.

მართალია, ყველა ქვეყნის სოციალისტები ერთმანეთს ეთანხმებიან, ამ მათთვის კარდინალურ კითხვის გათვალისწინების საქმეში, მაგრამ, ვგონებ, არსად და არასდროს პროლეტარიატი კულტის თაყვანისცემას არ მიუწევია იმ ზომამდე, როგორც ეს ჩვენში მოხდა. საქმე იქამდი მივიდა რომ სიტყვა პროლეტარიატი, გაპროლეტარება უზომო ბედნიერებისა და ყოვლად შემძლეობის გამომხატველ ცნე-

ვერ დაივიწყებს მის, ვინც საქართველოს ემსახურებოდა თავის იდიალებით და აზროვნებით, ვინც სული დალია შრომის და ძიების სიყვარულში.

## პრესის მაგიერ.

პრესას თავის დანიშნულება აქვს. იგი თავის ნორმალურ კალაპოტებს არ უნდა სცილდებოდეს. ასე არის ევროპაში, ასე უნდა იყვეს ჩვენშიც.

მაგრამ ჩვენში არსებული პარტიულ ორგანოებს ჰყავთ ისეთი „ხელოვნური მწერლები“, რომელნიც ამ წმინდა მოვალეობისათვის კი არ არიან მოწოდებულნი, არამედ ლანძღვა გინებისათვის.

ნათქვამია „ქართველი ბალღი ენას რომ აიდგამს, პირველად მამა-ძაღლოს და დედა-ძაღლოს წამოძახებსო„

ასე მოსდის ჩვენებურ გაზეთებსაც. მისცემენვისმეს კალამს ხელში თუ არა, — უკარნახებენ, რომ ამოიღონ თვალში ესა თუ ის ჯგუფი, ესა თუ ის წრე, ესა თუ ის პარტია და დაუმსახურებელი ლანძღვა-გინებით მონათლოს.

ამისთვის არ არის საჭირო არც ცოდნა, არც დაკვირება, არც გამოცდილება და არც ლიტერატურული ენა.

ქართულ ორგანოთა შორის, ამ მხრივ პირველი ადგილი უკავია „სარევოლუციო“ „თავგანწირულ“ პარტიის გაზეთს „ხალხის მეგობარს“.

დღე ისე არ გავა რომ ამ ყვითელმა პრესამ ჩვენს წინაამდეგ ნერვებ აშლილი ვითომდა პუბლიცისტები არ გამოიყვანონ.

ჩვენ მათ სიტყვას საზოგადოთ ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგანაც წესია რომ სულით ავათმყოფთ ყველაფერი აპატიო, მაგრამ როდესაც საეროვნო არჩევნები მოახლოვებულია, როდესაც საზოგადოებამ თვითეული პარტია შესაფერისად უნდა დააფასოს და მას ნდობა გამოუცხადოს და როდესაც ასეთ დროს გამოსულან არა მკითხე მოამბეები და დაუმსახურებლად იგინებიან არ შეგვიძლია ხმა არ ამოვიღოთ.

ნიმუშათ აქვე მოვიყვანთ „ხალხის მეგობრის“ „მარგალიტების შემოქმედებას“: —

ამ არჩევნების დღეს თქვენს წინაშე წარსდგება პარტია ეროვნულ-დემოკრატებისა, რომელიც სიტყვაზეა მხოლოდ დემოკრატი, საქმით კი ყოველთვის მტერი იყო და შემდეგშიაც სულთამხუთავი იქნება ხალხისა. ეს პარტია, პარტია ეროვნულ-დემოკრატებისა შესდგება: თავად აზნაურობისგან, ძველი მთავრობის მოხელეებისგან, ჩარჩ ვაჭრებისაგან და ყველა მათგან, ვინც ყოველთვის და ყველგან მტერი და დამღუპველი იყო ხალხისა. აბა ასეთ პარტიის როგორ მისცემს დემოკრატია ხმას, თუ კი მას, დემოკრატიას, თავისივე თავის დაღუპვა და დასამარება არ უნდა. ბრძოლა ამხანაგებო ეროვნულ-დემოკრატების წინაამდეგ, ბრძოლა შეუბრალებელი.

ამ ამონაწერიდან მკითხველი დარწმუნდება, რომ ან გიჟი უნდა იყვეს ამის დამწერი და ან მკითხველ საზოგადოებას არ უწევს ანგარიშს, რომ ასეთ აბდაუბდას მიედება.

მოვახსენებთ „თავგანწირული“ ჯგუფის ყვითელი პრესის „პუბლიცისტებს“, რომ მათ პარტიაში უფრო მეტი თავადაზნაურები იმყოფება, ვინემ ჩვენს პარტიაში. ესეც არ იყვეს, ჩვენ არ გვყავს არც ერთი ისეთი წევრი პარტიისა რომელსაც შეუძლია სახელი გაუტეხოს პარტიას.

მოვახსენებთ „სარევოლუციო“ პარტიის ყვითელი ფურცლის „პუბლიცისტებს“ რომ ხალხის მტრები ჩვენ კი არა ვართ, არამედ ის მყვირალა „პოლიტიკოსებია“ რომელთა ოცნებისებურ დაპირებების შეუსრულებლობამ ქართველ ხალხს გული გაუტეხა, რევოლუცია დასამარების კარამდის მიიყვანა. და თუ თავიანთი მეცი პოლიტიკა არ შესცვალეს დაჰღუპავენ თვით საქართველოსაც.

კვლავ მოვახსენებთ „შუქურ ვარსკვლავთა“ „ყველაზე უკეთესი“ პარტიის უბადრუკ „პუბლიცისტებს“, რომ ძველი მთავრობის მოხელეები ჩვენთან კი არ არიან, არამედ, იმათმა რევოლუციის პირველ დღეებშივე ქურქი გამოიცვალეს და სოციალისტურ პარტიებში ჩაეწერენ, უმთავრესად კი ფედერალისტების პარტიაში.

მოვახსენებთ ნერვებ აშლილ ინტელიგენტების პარტიის საჯიროთო პრესას, რომ ვაჭარ-მრეწველები ჩვენთან იმყოფებიან, /რომელთაც ერთხელ ცნობილმა ფედერალისტმა ლომინაძემ და მისმა ძმებმა სული ამოახდინეს.

კიდევ მოვახსენებდით „ყველაზე უკეთესი“ პარტიის ლანძღვა-გინების ფურცელს, მაგრამ რა უნდა მოვახსენოთ, რომლის ხელმძღვანელნიც ღამის 12 საათიდან დილის 7 საათამდის [illegible] თავზე დასხმულნი, ქუთაისის ქუჩებზე დაფა [illegible] არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო.

## მთავრობის მოქმედება.

### ამონაწერი.

საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

— გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ათი მილიონიანი ფონდიდან 100 ათასი მანეთის კრედიტი ბონების მოსამზადებელ ექსპედიციისთვის ქაღალდის საყიდლათ.

— შეიცვალოს 1917 წლის 27 ივლისის მუშათა დაზღვევ კანონის მე 65 მუხლი შემდეგ ნაირად: საავადმყოფო კასისთვის წევრთა საზოგადო კრება ერთი პროცენტიდან ორ პროცენტამდე იმ კასებში, სადაც წევრთა რიცხვი 400-ზე ნაკლებია, გადასახადი შეიძლება გადიდებულ იქმნას სამ პროცენტამდის. ის პირნი, რომელნიც დღიურ შრომის ხელფასს ოცდაერთი მანეთზე მეტს იღებენ, ან წლიური ჯამაგირი მათი აღემატება 6300 მანეთს, საწევრო გადასახადს იხდიან მხოლოდ დღიურ ქირის 12 მანეთის ანგარიშიდან“ სათანადო კანონპროექტი შეტანილ იქმნას ეროვნულ საბჭოში.

— გაეხსნას განსაკუთრებული კრედიტი სოხუმის ხაზინას 11. 508 მან. 55 კაპ. საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის თანხიდან სოხუმის სადგურის გამგეს თ. მარკოვიჩის განკარგულებში დამატებითი ჯამაგირით და დაენიშნოს მიწათ-მოქმედების საბჭოს წევრთ, რომელიც მონაწილეობას ღებულობენ თავისი თანამდებობის, საბჭოში თითოს 1000 მან. წელიწადში.

დაენიშნოს სამინისტროების იურისკონსულტებს წლიურად 9 ათასი მანეთი.

## უკრაინა.

### ა. მილიუკოვი კიევში.

კიევში ჩამოსულმა ა. მილიუკოვმა გაზეთების კორესპოდენტებს უამბო, რომ იგი ინგლისელი ექიმის „პასპორტით“ ნახიჩევანში იმალებოდა. მას გარეგნულობაც გამოუცვლია. მოუპარსავს ულვაშები. როდესაც გერმანელებმა როსტოვი აიღეს მ ლიუკოვი იქ გადასახლებულა, სადაც რამდენიმე კვირა უცხოვრია.

კიევიდან მილიუკოვი და ნაბოკოვი ყირიმს მიემგზავრებიან.

## ახალი ამბავი

### ქუთაისი.

✦ ძ. კაპანელის ლექცი. ახლო მომავალში ბ. კ. კაპანელი-ჰანტურაია ქ. ქუთაისში საჯაროთ წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რელიგია და სოციალიზმი“.

✦ რკინის გზის მოსამსახურეთა საყურადღებოდ. 6 აგვისტოს დღის 3 საათზე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია რკინის გზის მოსა-

---

ბათ გადაიქცა დიდი გავლენის მქონე პარტიის ამყოლ ხალხის თვალში; ხოლო რაც შეეხება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მეტათ მწვავე და უმნიშვნელოვანეს საკითხს, ქართველ ეროვნების დაცვას ათასგვარ უსამართლო და უხეშ ძალადობისაგან — ეს სრულიადაც არ შედიოდა ჩვენი ხალხის კეთილდღეობის მოსურნე სოციალისტურ ინტელიგენციის პროგრამაში. თუ ჩვენი მარქსისტები თავს არ იზოგავდენ სოციალურ უსამართლობის მოსასპობათ ატეხილ საშინელ ბრძოლაში, სამაგიეროთ გაუგებარ ყოვლად შეუწყნარებელ გულგრილობას იჩენდენ ეროვნულ ჩაგვრა შევიწროების კითხვაში.

საკვირველი და სავალალო აქ სწორეთ ის არის, რომ როგორც უკვე მოვიხსენიეთ ზევით, განსაკუთრებულ გულმოდგინება და სიბეჯითე, ჩვენმა დასელებმა გამოიჩინეს დროთა მსვლელობის გამოთვის გავერანებულ და გატიალებულ მამულის წარსულ ხანგრძლივ კულტურულ ისტორიულ ცხოვრების გაბიაბრუების ცდაში და მისთვის აუცილებელ ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრების აღდგენის უარყოფაში.

ქართველი სოციალისტების ფართო და გაშლილი ბუნება ვერ თავსდება პატრიოტიზმის ვიწრო ჩარჩოებში. „მათი იდეალი, არჩილ ჯორჯაძის სწორი შენიშვნით, საკაცობრიო იდეალი შეიქნა ისინი ამ იდეალით სცოცხლობენ, ამით იმედოვნეობენ. აწმყო მათ გველივით ეზიზღებათ, წარსული ეჯავრებათ ისინი იცქირებიან ბრწყინვალე მომავლისაკენ“.

აღსანიშნავი აქ ისიც არის, რომ დასელები შეიარაღდენ მარტოდენ საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიის შესამუსვრელად და სრულიადაც არ იყვენ პოლონეთის, ფინლიანდიის და სხვათა ავტონომიურ წყობილების წინაამდეგ მხედრებული; ან კი, როგორ გაბედავდენ კრიტიკა დაეძ' ათ მათ პოლონეთის ან ფინლანდიის ავტონომიის წინაამდეგ, როცა ამ ქვეყნების ყველა სოციალისტურ პარტიებისათვის საანბანო ჭეშმარიტებას შეადგენდა და თავისთავათ იგულისხმებოდა ერის ნორმალურ ზრდა — განვითარებისათვის საკუთარის პოლიტიკური ცხოვრების საჭიროების აუცილებლობა. ამათ მხოლოდ თავის მშობელი ერი ამოიღეს ნიშანში, მარტო იგი მიიჩნიეს დაბალ ღობეთ, აითვალისწუნეს და არ ჩასთვალეს ავტონომიის ღირსად.

დასელების მიერ საქართველოს პოლიტიკურ თვითარსებობის ამგვარმა ყოვლად უსაფუძვლო და უმართებულო უარყოფამ გამოიწვია ბუნებრივი წინაამდეგობა, რეაქცია, ქართველი ინტელიგენციის მეორე ჯგუფს მხრივ, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაეწყვიტა მჭიდრო კავშირი საქართველოს წარსულთან, უარი არ გაეცხადებია თავის სახელოვან და და დიდებულ წინაპართა კანონიერ მემკვიდრეობაზე და ღრმად სწამდა თავის მრავალ — ტანჯულ ერის აღდგენა და განახლება.

სოციალ-დემოკრატების ეროვნულ ნიჰილიზმს ამ ჯგუფმა ნაციონალიზმი დაუპირდაპირა და უშიშრათ, გაბედულათ, წამოაყენა საქართველოს ავტონომიის საკითხი.

ამ ახალმა საზოგადოებრივმა ჯგუფმა თავისი თავი სოციალისტ-ფედერალისტების სახელით მონათლა და ამით თითქო იმის ჩვენება უნდოდა თავის მოპირდაპირე პოლიტიკურ პარტიისათვის, რომ ის იმაზე ნაკლებ არ ზრუნავს მშრომელი ხალხის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და სოციალისტურ წყობილების დამყარებაზე, ხოლო ის ამასთან ერთად აღიარებს ყოველ ეროვნებისათვის საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრების, ეროვნული ავტონომიის, აუცილებელ საჭიროებას და მათ ერთი მეორესთან დაახლოვებას ფედერატიული კავშირის მოწყობის საშუალებით, ურომლისოთ ერთნაირათ შეუძლებელია და მოუხერხებელი, როგორც ეროვნებათა შინაური ცხოვრების ნორმალური ვითარება, აგრეთვე მათ შორის კეთილგანწყობილებისა და მშვიდობიან ურთიერთობის დამყარება.

დასელებმა დიდათ იუცხოვეს ფედერალისტების ამგვარი მოურიდებელი გამოსვლა მათ წინაამდეგ და ჯერ კიდევ კარგათ არ იყვენ გაცნობილი მათ სოციალურ და ეროვნულ პროგრამის შინაარსს, რომ ისინი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახელით იყვნენ მონათლული და აღსარებული.

იმ დროს პარტიისათვის ამგვარი მიმართულების დაწამება ყოველ უბედურებაზე უფრო საზარელ უბედურებათ ითვლებოდა და რა გასაკვირია, რომ ფედერალისტებმა მთელი თავიანთი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარეს იმის მტკიცებას, რომ ისინი არ არიან ბურჟუაზიის მომხრე და არა ნაციონალისტები ამ სიტყვის „ვიწრო მნიშვნელობით“, რომ იმათაც დასელების მსგავსათ მიზნათ აქვთ დასახული სოციალური ტრანსფორმაცია სოციალისტური წყობილების დამყარების მეოხებით.

მაგრამ არავითარმა საბუთმა და მტკიცებამ, არ იქნა, არ იმოქმედა ძალზე გაბრაზებულ და გაბოროტებულ დასელებზე.

რაც დრო გადიოდა, ისინი უფრო მომეტებული გულმოდგინებით ცდილობდენ დაემცირებიათ ფედერალისტების მიერ მოწონებული ავტონომია, სახავდენ რა მას ფეოდალურ რეაქციონურ და, უკეთეს შემთხვევაში-კი, ბურჟუაზიულ-კონსერვატიულ მოთხოვნილებით, რომელიც დიდ უბედურებას და ბოროტებას მოუტანს საზოგადოებას.

სოციალისტ ფედერალისტები კი ყველას წინ ამდეგში არწმუნებდენ და ავტონომიური მართვა გამგეობის ხასიათის დაწვრილებითი განმარტებით ცდილობდენ ცხად-ეყოთ, რომ იგი სრულიად არ არის დასაგმობი და საგინებელი სახელმწიფოებრივი წყობილება, როგორც ეს მათ მოპირდაპირე პარტიას ჰგონია. დრო გავიდა, ქართველი საზოგადოება თანდათან დგება ეროვნულ გათვითცნობიერების გზაზე და რწმუნდება, რომ თვითმართველობის გარეშეთ ატეხილი განგაში და დაუბოლოვებელი დავა ყოვლად საძრახისი და დასაგმობი უგნურება, უცოდინარება და უტიფრობა გახლავთ.

დღეს თვით სოციალ-დემოკრატებსაც კარგათ აქვთ შეგნებული თავიანთი შეცდომილება ავტონომიის უსამართლო და უმართებულო დევნა-მოქცევის საქმეში და იძულებული არიან იწამონ ის, რასაც ასე თავგამოდებით სდევნიდენ და ებრძოდენ ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში.

ულმობელმა სინამდვილემ საქართველოს დამოუკიდებლობის „საშინელ“ აქტზე მოაწერია მათ ხელი და ოდესღაც ავტონომიის წინაამდეგ მებრძოლი ინტერნაციონალური პარტია იძულებული გახდა დასდგომ და ნაციონალიზმის დაცვის გზას.

საქართველოს დღევანდელი, სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მთავრობის რაზმები, თავგამოდებით იცავენ სამშობლოს გარემოცულ ურიცხვ მტრისაგან და გამარჯვებული უშიშრათ მიიწევენ წინ და აფართოებენ თავის წინაპართა სისხლით მორწყულ სამშობლოს საზღვრებს.

ალ. თორაძე.

მსახურეთა. კრება საჭიროა გამოცხადდენ როგორც დათხოვნილნი ისე სამსახურში მყოფნი მოსამსახურეებიც. გასარჩევია საყურადღებო საკითხები-

✦ **ახლად გარდაცვალებულის** სტუდენტის ალექსანდრეს (ალიკო) ილარიონის ძის გამყრელიძის ბიძამ და ბიცოლამ კოსტანტინე იოსების ძემ და ანიკო გრიგოლის ასულმა აბდუშელიშვილებმა გვირგვინის ნაცვლად ჩვენს რედაქციაში წარმოადგინეს 100 მანეთი: ეს ფული მათი სურვილის თანახმად მიეცემა იმ ორ ავადმყოფ სტუდენტს, რომელსაც ავადმყოფად იცნობს ექიმი ვასილ წერეთელი.

✦ **შავი ქვის მრეწველთა საბჭო.** ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ 15 აგვისტოს ამა წლისა, დილის 10 საათზე ქალაქ ჭიათურაში მოხდება შავი ქვის მრეწველთა არაჩვეულებრივი ყრილობა შემდეგი კითხვების გასარჩევათ.

1) მოხსენება ქუთაისიდან შავი ქვის საბჭოს კანტორის გადატანის შესახებ.

2) მოხსენება სხვადასხვა კითხვის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მარგანეცის მრეწველობასთან.

✦ **ქურდობა** 31 ივლის წითელ ხიდთან ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს ქიშვარდი ჩახავას სახლი. წაიღეს 3000 მ. ქაღალდის ფული, 80 მან. ვერცხლის ფული, ოქროს ნივთები ღირებული 2000 მანეთად და ტანთსაცმელი ღირებული 4100 მანეთად. სულ 19,180 მანეთად ღირებული ნივთები და ფული.

✦ **მამისონის საუღელტეხილო** რკინის გზის შესახებ. სამტრედიის ქალაქის თავი ქუთაისის ქალაქის თავს ატყობინებს სამტრედიის ქალაქის თვითმართველობამ მამისონის უღელტეხილის რკინისგზის გაყვანის გამო დაადგანა: ჯერჯერობით შეიძინოს ერთი პაი.

ამავე რკინის გზის გაყვანის გამო ხონიდან იტყობინებიან, რომ მიღებულ იქმნა შემდეგი დადგენილება: მიღებულ იქმნას ყოველ გვარი ზომები, რომ ხსენებული გზა გაიყვანონ. და წინასწარი ხარჯებისათვის თანხა მოგროვდეს ქალაქის მცხოვრებთა შორის.

✦ **ყულაბებით ფულის შეგროვება.** დასავლეთ საქართველოს საშვალო სასწავლებლის მასწავლებელთა კავშირის გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას ნება დართოს რომ ხსენებული კავშირის სასარგებლოთ ყულაბებით ფული შეაგროვონ.

✦ **ნაოლალევი**. ჩვენმა ჯარმა დაიკავა მარტვილის მონასტრის სიმაღლე. აბაშის ხიდი ბრბოს დაკავებული აქვსო. ისმის თოფის სროლა განსაკუთრებით საღამოობით. ბრბო უნდა შესდგებოდეს 300 კაცისაგან.

ხონის რაზმის უფროსი **ჩაჩავა.**

**ბრძოლა ანარქიასთან.**

**ხრესილი.** (დეპეშა) წვიმა და ნისლი ხელს გვიშლის რომ სამხედრო ორგანიზაციები გვეწარმოებბია პირადათ მე ვათვალიერებდი მოწინააღმდეგეების პოზიციას. მოწინააღმდეგემ ზარბაზნებით ყუმბარები დაგვიშინა, მაგრამ კაპიტან ქორქაშვილმა მტრის არტილერია იმ წამსვე ჩააჩუმა.

✦ **დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსის პინპარაძის ბრძანებით დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს გიორგი ჯანჯღავა ირაკლი ჩხუდიანი და ვასილ ბაკურაძე, აგვისტოს-2 ს რუბანის ქუჩაზე, დააპატიმრეს ჭეიშვილი და სერაპიონ შანიძე რომელთაც კავშირი ჰქონიათ ყაჩაღ მორჩაძესთან.

**პროვინცია.**

**საჩხერის რაიონი.** საჩხერის რაიონში მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს, მაგრამ მიდვრის მუშაობას ამ რაიონში ამბოხებამ და სამხედრო ოპერაციამ ხელი შეუშალა.

—ამ რაიონში იარაღის მოგროვება გრძელდება.

—საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით საჩხერის რაიონში სამხედრო საველე სასამართლომ მოქმედება უკვე დაიწყო. სიკვდილით დასაჯეს რამდენიმე კაცი.

—საჩხერის რაიონიდან გადახიზნული ხალხი თავის სახლკარს უკვე დაუბრუნდა.

## საზოგადოების საყურადღებოთ.

ქ. შ. წ-კ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობას სხვადასხვა წრიდან ეკითხებიან იმ საკითხის გამო, რომელიც იტყდა განსვენებულის გიორგი ზდანოვიჩის ქუთაისის მამულის გაყიდვის გარშემო. ხსენებული განყოფილების გამგეობა თავის თავს მოვალეთ სთვლის საზოგადოებას შემდეგი აცნობოს:

1) განსვენებული ზდანოვიჩის ანდერძის ამსრულებელმა (ბ. ბ. იაზ. ბაქრაძემ და პლ. კრინიცკიმ) პირველათ წ-კ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობას მიმართეს შემდეგი განცხადებით: თუმცა ანდერძის მიხედვით ჩვენ გვევალება მამულის გაყიდვა, მაგრამ ჩვენს ზნეობრივ მოვალეობათ მიგვაჩნია მოგმართოთ თქვენ და და რჩევა გკითხოთ, თუ როგორ მოვიქცეთ: გავყიდოთ ეს მამული, თუ არაო.- გამგეობამ, მათისვე თანადასწრებით, მსჯელობა იქონია ამ საგანზე და დაადგინა, მამული არ უნდა გაიყიდოს და წ.-კ. საზოგადოების სახელზე დარჩესო;

2) თუმცა ანდერძი საზოგადოთ ქ. შ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობის იმავე სხდომაში გამოითქვა გადაჭრილი აზრი, რომ აღნიშნული მამული ქუთაისის განყოფილების განკარგულებაში უნდა ყოფილიყო, და თუ ანდერძში არ არის გარკვევით გამოთქმული ეს აზრი, ეს მხოლოდ ანდერძის შედგენის დროს მომხთარ გაუგებრობას უნდა მიეწეროს, ვინაიდან განსვენებული ზდანოვიჩის, როგორც ქუთაისის განყოფილების გამგეობის თავჯდომარის, სურვილი, ცხადია, იქნებოდა თავისი მამული ადგილობრივი საზოგადოებისათვის ენდერძებია;—

3) უკანასკნელ დრომდი აღნიშნული საკითხი ამგვარ ფაზისში რჩებოდა, და თუმცა ანდერძის აღმსრულებელთაგან გამგეობას სიტყვიერათ ესმოდა აზრი, რომ ძმები კიკნაძები ყიდულობენ მამულსო, მაგრამ გამგეობის წევრნი სიტყვიერათვე ამის უარს აცხადებდენ;

4) უკანასკნელ დროს წ.-კ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობამ გაიგო, რომ აღნიშნული მამულის გაყიდვა უკვე გადაეწყვიტათ (როგორც ჩნდა, თფილისში) და ვაჭრობის დღეც დანიშნული იყო; მაშინ გამგეობა ორი პირის საშუალებით შეეკითხა ქუთაისიის საადგილ-მამულო ბანკს, მართლა იყიდება მამული თუ არაო, და როცა ბანკის დირექტორის ბ. იაკ. ფანცხავას განმარტებით გაიგო, რომ ვაჭრობა ამ მამულისა მოხსნილია და არ მოხდებაო, ამით დაკმაყოფილდა და მამული თავის სახელზე დატოვების შესახებ ზრუნვა შემდეგისათვის გადადვა.

გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე დღე და მამულის გაყიდვაც და მყიდველთა სახელზე მისი დამტკიცებაც საზოგადოებას უკვე შესრულებულ ფაქტათ ეცნობა.

როგორც მკითხველი ხედავს, აღნიშნული მამულის გაყიდვა მოხთა წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა — და საზოგადოებასთან ერთად ჩვენც აღშფოთებული ვართ მამულის გაყიდვით.

ვთხოვთ ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ჩვენი განცხადება.

ქ. შ. წ.—კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების **გამგეობა**.

## საჩხერის ამბები.

მთავრობის საექსპედიციო ჯარი ამ ხანად სოფ. პერევში ბანაკობს.

საჩხერის რაიონი გაიწმინდა მეამბოხე ბრბოთაგან და განდგომილ სოფლებს იარაღი აეყარა, შემდგომ ამისა ამბოხების სალიკვიდაციო ჯარის უფროსი კაპ. იშხნელი დედა ქალაქში წავიდა და მთავრობას საჩხერის აჯანყების შესახებ შესაფერი მოხსენება გაუკეთა. მთავრობისგან ჯარის უფროსს იშხნელს დავალებული ჰქონდა საჩხერის რაიონის დაწყნარება რომლის უკანასკნელი საზღვარიც იყო სოფ. პერევი: იშხნელმა ეს სახელოვნად შეასრულა რაც მთავრობას აუწყა თბილისში პირადი მოხსენებით. ახლა მთავრობამ იშხნელს უბრძანა ჯარით გადაიაროს ოსთა სოფლები და საომარი წესით ქართლში ჩავიდეს. გზაზე მას შემოხვდება ცხინვალიდან წამოსული მთავრობის რაზმი.

გადაწყვეტილია ამბოხებაში მონაწილე ოსთა სოფლების დატუქსვა.

ხალხის სულიერი განწყობილება საგრძნობლად გამოიცვალა. ზარბაზნებმა და ტყვიის მფრქვევლებმა უკიდურეს მოჯანყეთაც დაუმტკიცა **მთავრობის არსებობა,** რაც წინად ზღაპრად მიაჩნდათ. საჩხერის რაიონში ერთმანეთზე სამკვდრო სასიცოცხლოდ გადაკიდებული აღმოჩნდა ყოფილი თავად-აზნაურობა და მისი გლეხობა.

ამის მიზეზად გლეხობა ასახელებს, რომ მათ არწმუნებდენ ვითომც თავადაზნაურობას გარეშე მტერი მოყავს თავის მამულების დასაცავად, რის გამოც ხალხს ომის წარმოება უხდება და ხალხის გაწვალება ჩვენ უფასოთ მიწის მუშებს ურიგებთ მიწას მაგრამ თავადაზნაურობა გარეშე მტრის დახმარებით გლეხებს ებრძვის და მიწებს არ გვანებებსო.

ასე ჰქადაგობდენ ქართველი სოციალისტები ეს მათ კაცებს მოახსენა თვითონ ხალხმა სოფ. არგვეთში და სხვაგან კერძო ლაპარაკის დროს.

სოფლის ხალხს თავბრუ დაესხა. ამ დროს გაჩნდენ ოსების „მოციქულები" და ხალხს აუწყეს: „ქვეყანას ღუპავს თავადაზნაურების მთავრობა მისგან დაქირავებული წითელი გვარდია და მექრთამე კომისრები და მათ არ ინდომეს რუსეთის ხელმწიფესთან წყნარი ცხოვრება გამოეყვენ რის გამოც ფული არ ფულობს: არშინი ჩითი 20 მან. გახადეს პური გირ. 4 მანეთად, სამართალი მოსპეს ვისაც ბატონყმობის უღელი არ უნდა მოემხროს საერთაშორისო გლეხთა პროლეტარიატს დემოკრატიას და რუსის ხელმწიფესა.

ხალხი ფარისევლების ანკესზე წამოეგო მათ ძალით ხელში იარაღი მისცეს და გვერდით ამოიყენეს.

დღეს გონს მოსული ხალხი აცხადებს, რომ მისი ბრალი არაფერია, სიმართლის მთქმელი ჟამსა განკითხვისასა მასთან არვინ იყო. ვინც მოდიოდა ჩვენთან ღვთის სიტყვების გვეტყოდა, გაგვახარებდა გაკეთებას დაგვპირდებოდა და წავიდოდა.

ბატონყმობა, სიძვირე არ გვინდა და მას იარაღით ვებრძოდით რასაც არ ვმალავთ ერთ სოფელში ხალხმა გულუბრიყვილოდ იკითხა: „ხელმწიფედ ვინ გვეყოლებაო რაც უნდა კაი რამე აღგვითქვათ თქვენ უფროსი მაინც გვინდაო.

მიწის საკითხის შესახებ ხალხი ყველგან ამბობს, ტყუილად მოცემული ჩვენ არაფერი არ გვინდა, როდის იყო რომ მუქთად რამე არიგებდნენ, თუ მოგვყიდი თავად-აზნაურობა ხელმისაწდომ ფასებში მიწას და ნასყიდობას დაამტკიცებს ხელს მოაწერს, მაშინ ჩვენც მყიდველი ვართო.

უფრო შეგნებული პირები იტყობინებიან, რომ ოსთა გამოლაშქრებას წმინდა ეროვნული სარჩული და მიზანი ჰქონდა. ოსებს და პირველ ხანებში უნდოდათ დაეპყროთ საჩხერის რაიონი. აქ თავისი მმართველობა დაეწესებიათ და შემდეგ მოეცადათ ოსთა ეროვნულ საბჭოს ბრძანება დირექტივებისთვის. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ოსთა დელეგაციაში ერთ მღვდელს წამოსცდა, რომ შერიგების შესახებ იგი შეეკითხება ოსთა ეროვნულ საბჭოს.

ოსებს ოფიცრები, სტუდენტები და მასწავლებლები მეთაურობდენ. ადმინისტრატიული აპარატი აამოქმედეს მაგრამ ისევ ძველის უვარგისი წესით. ხალხი უმადურია, ახალ მოდის კომისრების და მილიციელების. და თუ რატომ ხდება ასე ამის ახსნა გრკვევას სამერმისოდ შევეცდებით. დრო არის მმართველმა პარტიამ თავი გაანებოს პარტიულ კლუბში ალხრდილ პროპაგანდისტების ქვეყნის პატრონად გაწესებას და მხითებად ქება დიდებას გატნევას უცუდით როცა კაცი თავის სატრფოს ეთერს ადარებს, როცა სატრფო იგი მახინჯია".

-ირაკლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი საჩხერიდან.

(დაგვიანებული)

ივლისის 15-ს საჩხერის ამბების ნამდვილ ვითარება მიზეზების გასაცნობად აქ ჩამოვიდა ეროვნულ საბჭოს წევრი **გრიგოლ ვეშაპელი**. გრიგოლ ვეშაპელთან დარბაზობა ჰქონდათ მთავრობის საექსპედიციო ჯარის უფროს კაპ. იშხნელს და სხვა და სხვა პირთ. **გრიგოლ ვეშაპელი** საჩხერის ბრბოთა ამბოხების შესახებ დედა ქალაქში დაბრუნებისას მოხსენებას გააკეთებს ეროვნულ საბჭოში.

საჩხერე „ბრძოლის ველს" წარმოადგენს, მთებზე და ქალაქის შუა გულში მთავრობის ჯარი ბინადრობს: როგორც უკვე ვსწერდით მთავრობას მხრით ეს ერთი კვირაა სამხედრო მოქმედება შეჩერებულია, ოსთა ბრბომ მთავრობის მოთხოვნილება რომ მათ განსაზღვრულ დროში იარაღი დაეყარათ არ შეასრულეს და მეზობელ სოფლებში ძარცვა გლეჯას განაგრძობენ. ოს ყაჩაღთა თარეშის გამო მცხოვრებნი იხიზნებიან და სახლ კარს უპატრონოდ სტოვებენ. სოფ. სავანე, ჩიხა და ჯორითი განსაცდელშია, რადგან ამ სოფლებს ხშირად ესხმიან თავს ოსთა ყაჩაღები და პურის გალეწის საშუალებას არ აძლევენ. მეტად გაჭიანურდა საჩხერის ამბების ლიკვიდაცია რაიც ერთის მხრით იმით აიხსნება, რომ ოსთა ბრბო მიუვალ ტყე ღრეშია ჩამსხდარი და მეორეს მხრით იმით, რომ ჯარის უფროსს კაპ. იშხნელს, საკმაო რეგულიარული ჯარი ჯერ არ მისვლია.

კაპ. იშხნელმა ქუთაისიდან გამოიწვია ქვეითა ჯარი, რომელსაც ამ დღეებში მოელიან. სამხედრო მინისტრის აქ ყოფნის დროს კაპ. იშხნელმა კითხვა აღძრა, რომ ჭიათურა საჩხერის რაიონში სასწრაფოდ გამოეწვიათ სამხედრო ვალდებულნი მაგრამ იშხნელმა გაწვევა დროებით შეაჩერა რადგან ხალხი ამჟამად პურს მკის და სიმინდის თოხნაშია ჩაბმული.

საჩხერეში სურსათ სანოვაგის უკიდურესი კრიზისია, რადგან სოფლებიდან არაფერი შემოაქვთ.

ამას წინად პროვოკაციისთვის შეპყრობილი სომხები და სხვა და სხვა პირები ქუთაისში გაგზავნეს.

ი. ჯიხაიშელი.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

**განცხადება.** გიმნაზიის კურს დამთავრებული გერმანელი გამოცდილი მასწავლებელი ქალი აძლევს გერმანული ენის გაკვეთილებს. თანახმაა გაკვეთილები მისცეს თუ მას მისცემენ ოთახს სადილით. მსურველებმა მისამართი უნდა დასტოვონ „ჩვენი ქვეყნის" რედაქციის კანტორაში, ეკატერინე რევაზის სახელზე. 3 - 1

**საჭიროა „ნატურშჩიცა"** მოდელისთვის. პირობები და სურათი გაგზავნილ უნდა იქნეს „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში მხატვარ სანელისთვის. 5—1

**ვყიდი**

ქუთაისში სახლს, რომელიც შესდგება **ხუთი ოთახიდან, ორი სამზარეულოდან** და რამდენიმე **საკუჭნაოდან.** შენობაა **ქვის** და **აგურის. მიწა** 204 **ოთხკუთხი საჟენი.** პირობების გაგება და სახლის ნახვა შეიძლება სევერიან ჯიბლაძესთან, რომელსაც აქვს დუქანი ქუთაისის სადგურის რირდაპირ. 5 — 5

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.